ახალგაზრდები საქართველოში და მათი პოლიტიკური ჩართულობა: MYPLACE პროექტის შედეგების მნიშვნელობა პოლიტიკური გადაწყვეტილებებისთვის

MYPLACE (www.fp7-myplace) ევროკომისიის მიერ დაფინანსებული 7.9-მილიონიანი პროექტია, რომელიც მიმდინარეობს 2011 წლის ივნისიდან 2015 წლის მაისამდე. პროექტში ჩართულია ევროპის 14 ქვეყანა. საქართველოში პროექტს ახორციელებს CRRC-საქართველო.

CRRC-საქართველო არის არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, აანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ. CRRC-საქართველო სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრებთან ერთად ქმნის კვლევითი ცენტრების ქსელს, რომლის მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარება სამხრეთ კავკასიაში.

სამივე ცენტრი დაფუძნდა 2003 წელს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ ნიუ-იორკის კარნეგის კორპორაციის დაფინანსებით. 2013 წლის ზაფხულიდან CRRC-საქართველო საქმიანობას აგრძელებს როგორც დამოუკიდებელი არასამეწარმეო იურიდიული პირი, რაც არ ცვლის მის მიზნებს, ამოცანებს და რეგიონულ თანამშრომლობას.

Contents

პროექტის შესახებ 3

MYPLACE კვლევის მიგნებები საქართველოში 6

MYPLACE კვლევის მიგნებები ევროპის ქვეყნებისთვის 12

კვლევის შედეგების მნიშვნელობა პოლიტიკური გადაწყვეტილებებისთვის 17

პროექტის შესახებ

MYPLACE იკვლევს ახალგაზრდების სამოქალაქო, პოლიტიკურ და სოციალურ ჩართულობას ევროპის 14 ქვეყანაში, კერძოდ იმას, თუ რა გავლენას ახდენს მათ ჩართულობაზე ტოტალიტარიზმის და პოპულიზმის ისტორიული მემკვიდრეობა ევროპაში. პროექტი ერთნაირი მეთოდოლოგიის გამოყენებით ერთდროულად ხორციელდება ხორვატიაში, დანიაში, ესტონეთში, ფინეთში, საქართველოში, აღმოსავლეთ გერმანიაში, დასავლეთ გერმანიაში, საბერძნეთში, უნგრეთში, ლატვიაში, პორტუგალიაში, რუსეთში, სლოვაკეთში, ესპანეთსა და დიდ ბრიტნეთში.

კონცეპტუალურად, პროექტი სცდება ცალკეული ეროვნული „პოლიტიკური კულტურების" შედარებას ისევე, როგორც პოლიტიკური მემკვიდრეობის მკაცრ კლასიფიკაციას, როგორიცაა, მაგალითად, „პოსტ-კომუნისტური" ან „ლიბერალ-დემოკრატიული". ამის ნაცვლად, პროექტი ემყარება ისეთ წარმოდგენებს რადიკალური და პოპულისტური პოლიტიკური ტრადიციების შესახებ, რომლებიც ამ ტრადიციებს მთელი ევროპის მასშტაბით განიხილავს, და შეისწავლის მათი პოპულარობის წრიულ და არა სწორხაზოვან ბუნებას.

ემპირიულად, MYPLACE იყენებს მასობრივი გამოკითხვის, ინტერვიუს და ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდების შთამბეჭდავ ერთობლიობას, რომელთა მეშვეობითაც გროვდება ახალი, პან-ევროპული მონაცემები. ეს მონაცემები არა მხოლოდ ზომავს ახალგაზრდების ჩართულობის დონეს, არამედ აგრეთვე შეისწავლის იმ მნიშვნელობებს, რომლებსაც ახალგაზრდები თავად უკავშირებენ თავის საქციელს.

ანალიტიკური თვალსაზრისით, რამდენადაც პროექტი ფოკუსირებულია ახალგაზრდებზე და მათი სოციალური და პოლიტიკური ჩართულობის ისტორიულ და კულტურულ კონტექსტუალიზაციაზე, ახალგაზრდების პოლიტიკიდან „გარიყულობის" შესახებ რუტინული და ხშირად აბსტრაქტული მოსაზრებების ნაცვლად MYPLACE გვთავაზობს იმის მდიდარ ემპირიულ სურათს, თუ როგორია ახალგაზრდების წარმოდგენები და დამოკიდებულება ევროპის სამოქალაქო და პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი.

პოლიტიკის შემუშავებისა და დახვეწის თვალსაზრისით, MYPLACE გამოყოფს როგორც ხელისშემშლელ, ასევე ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს ახალგაზრდების მიერ ევროპული პოლიტიკური სივრცის, როგორც „თავისი" ადგილის ("my place") აღქმას.

როგორც უკვე აღინიშნა, MYPLACE მასშტაბური პროექტია, რომელიც გამოირჩევა თავისი მეთოდოლოგიური მიდგომით. პროექტი ემყარება ფართომასშტაბიან გამოკითხვას, სიღრმისეულ ინტერვიუებს და ეთნოგრაფიულ კვლევას, რათა რეკომენდაციების შემუშავება რაც შეიძლება სრული ინფორმაციის საფუძველზე მოხდეს. თითოეულ ქვეყანაში შერჩეული იქნა ორი დასახლებული პუნქტი, სადაც ჩატარდა გამოკითხვა და

თვისებრივი ინტერვიუები. თითოეული ქვეყნისთვის შერჩეული ადგილები ასახულია ქვემოთ მოყვანილ რუქაზე:



ახალგაზრდების გამოკითხვა საქართველოს ორ დასახლებულ პუნქტში, ქუთაისსა და თელავში ჩატარდა, რათა დაგვენახა ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო გავლენების ურთიერთქმედება ახალგაზრდების შეხედულებებსა და ქცევაზე. ქუთაისი საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქია, სადაც MYPLACE-ის საველე სამუშაოების დასაწყისში გადავიდა საქართველოს პარლამენტი, თელავი კი ქვეყნის სხვა, აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე პატარა ქალაქია.

მოსალოდნელი იყო, რომ განსხვავებული ზომის ამ დასახლებებში, სადაც, შესაბამისად, განსხვავებული ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის ცხოვრების სტილია, განსხვავებული იქნებოდა ახალგაზრდების შეხედულებები და მოსაზრებები სამოქალაქო ჩართულობის შესახებ. კვლევისთვის ამ ორი დასახლებული პუნქტის შერჩევა მოხდა არსებული ლიტერატურის შესწავლისა და საველე სამუშაოების მოსამზადებელი ეტაპის დროს მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე. ერთის მხრივ, დიდ ქალაქებში და მეორეს მხრივ, პატარა ქალაქებში ან სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების რეაქცია რადიკალურ პოლიტიკურ მოვლენებზე განსხვავებული იქნებოდა იმიტომ, რომ განსხვავებული იქნებოდა მათი ცხოვრებისეული გამოცდილება, განათლება, ინფორმაციის სხვადასხვა

წყაროზე დამოკიდებულების დონე (შესაბამისად, კრიტიკული აზროვნება), ისევე როგორც მათი დასაქმების პერსპექტივები და კეთილდღეობის შანსები. ჩვენ ასევე გავითვალისწინეთ ის გარემოება, რომ საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონებს ტრადიციულად ახასიათებს განსხვავებული ცხოვრების სტილი და რითმი, სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებში მოსახლეობის ჩართულობის მასშტაბები, ასევე, განსხვავებულია მოსახლეობის დამოკიდებულება მნიშვნელოვანი მოვლენების და/ან სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ.

ქართველი ახალგაზრდების აქტივობის შესასწავლად კვლევის სხვადასხვა მეთოდი გამოვიყენეთ: ფოკუს ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუები, გამოკითხვა და ეთნოგრაფიული კვლევა. კვლევა ჩაატარა 2012 წლის ბოლოს და 2013 წლის დასაწყისში.

MYPLACE-ის კვლევითი პროექტი შედგება 10 კვლევითი კომპონენტისგან (work package), რომელიც მოიცავს როგორც ლიტერატურის მიმოხილვას ისე ინფორმაციის შეგროვებას, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდებით. ეს ნაშრომი არის მე-8 კვლევითი კომპონენტის ნაწილი, რომელიც ეხება მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით პოლიტიკის შემუშავებას.

WP1	ლიტერატურის შესწავლა, კვლევის დიზაინი
WP2	წარსულის ინტერპრეტაცია (ისტორიული მეხსიერების კონსტრუქცია და გადაცემა)
WP3	კითხვარის მომზადება: ფოკუს ჯგუფები და ინტერვიუები ექსპერტებთან
WP4	ახალგაზრდების გამოკითხვა (ქუთაისი და თელავი)
WP5	სამოქალაქო ჩართულობა: ახალგაზრდების ინტერპრეტაციები (სიღრმისეული ინტერვიუები)
WP6	ახალგაზრდების აქტიურობა
WP7	ეთნოგრაფიული კვლევები
WP8	**პოლიტიკური გავლენა**
WP9	კვლევის შესახებ ინფორმაციის გავრცელება
WP10	პროექტის მართვა

MYPLACE-ის კვლევის დიზაინი შესაძლებელს ხდის, უფრო ღრმად და ყოველმხრივად ჩავწვდეთ იმ გარემოებებს, რომლებიც ახალგაზრდების შეხედულებებს და ქცევებს

განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, უფრო ეფექტური პოლიტიკური რეაგირების საფუძველს წარმოადგენს.

პროექტში ჩართული კვლევითი გუნდები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ახალგაზრდული პოლიტიკის მრჩეველთა ჯგუფების (Youth Policy Advisory Groups - YPAGs) წევრებთან. ეს ჯგუფი შეიქმნა პროექტში ჩართულ ყველა ქვეყანაში და შედგება ახალგაზრდებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილე ადამიანებისგან, მკვლევარებისგან და მეცნიერებისგან, რომელთაც ახალგაზრდების საქმიანობა და სოციალური და პოლიტიკური ჩართულობა აინტერესებთ. ახალგაზრდული პოლიტიკის მრჩევალთა ჯგუფი საქართველოში CRRC-ს ეხმარებოდა კვლევის დიზაინის შემუშავების, საველე სამუშაოების ორგანიზების და მიღებული შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავების პროცესში.

MYPLACE კვლევის მიგნებები საქართველოში

MYPLACE პროექტის მთავარი მიზნიდან გამომდინარე, რაც ახალგაზრდების სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის შესწავლას და ამ ჩართულობის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულების კვლევას წარმოადგენს, გამოვლინდა შემდეგი მიგნებები, რომლებიც ქვემოთაა მოყვანილი. საინტერესოა, რომ პროექტის ძირითადი მიგნებები საველე სამუშაოებისთვის შერჩეულ დასახლებულ პუნქტებში (ქუთაისსა და თელავში) არ განსხვავდება.

- ქუთაისში რესპონდენტთა მხოლოდ 34% და თელავში 41% აცხადებს, რომ დაინტერესებულია პოლიტიკით. საქართველოს ორ ქალაქში გამოკითხულ ახალგაზრდებს **ყველაზე მეტად ის საკითხები აინტერესებთ, რომლებიც საქართველოს შიდა პოლიტიკას ეხება.** მეორე ადგილზეა საკითხები, რომლებიც იმ ქალაქს ეხება, სადაც ამჟამად ცხოვრობენ, მესამე ადგილზე კი საკითხები, რომლებიც მათ ამჟამინდელ უბანს ეხება. ჩვენი გამოკითხვის შედეგების თანახმად, საკითხები, რომლებიც ევროპას ეხება, მათთვის ნაკლებად საინტერესოა (ცხრილი 1). ქუთაისსა და თელავში მიღებული პასუხები მსგავსი იყო.

  ცხრილი 1. რამდენად გაინტერესებთ საკითხები, რომლებიც ეხება... *(% ქალაქის მიხედვით; ცხრილში მოყვანილია ინფორმაცია მხოლოდ იმ რესპონდენტების შესახებ, ვინც განაცხადა, რომ აინტერესებს[1] შესაბამისი საკითხები)*

[1] პასუხის ვარიანტები „ძალიან მაინტერესებს“ და „საკმაოდ მაინტერესებს“ გაერთიანებულია.

	ქუთაისი	თელავი
… საქართველოს?	95	95
… ქალაქს, რომელშიც ამჟამად ცხოვრობთ?	92	88
… უბანს, სადაც ამჟამად ცხოვრობთ?	81	72
… ევროპას?	55	57

- MYPLACE პროექტის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მიგნებები კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ქართველი ახალგაზრდები **პოლიტიკურად აქტიურები არ არიან**. ბევრ ქართველ ახალგაზრდაში სიტყვა „პოლიტიკა“ უარყოფით ემოციებს იწვევს და ბინძურ საქმეებსა და კონფლიქტთან ასოცირდება, რაში მონაწილეობის სურვილიც მათ არ გააჩნიათ. ახალგაზრდების პოლიტიკური აქტივობის ერთადერთი გამოხატულება არჩევნების დროს ხმის მიცემაა. ისინი არჩევნებში მონაწილეობას თავის სამოქალაქო ვალდებულებად თვლიან და ამ პასუხისმგებლობას საკმაოდ სერიოზულად ეკიდებიან. საარჩევნო ასაკის რესპონდენტთა 65%-მა განაცხადა, რომ ისინი რეგულარულად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში.

- გამოკითხვის დროს ახალგაზრდებმა განაცხადეს, რომ, ზოგადად, ისინი ინფორმირებული არიან მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ და დროდადრო **განიხილავენ პოლიტიკას მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან**, რომლებიც, როგორც წესი, იზიარებენ მათ შეხედულებებს (ცხრილი 2). ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ, ქართული საზოგადოების ღრმად პოლიტიზირებული ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ადამიანი არ იყოს ინფორმირებული ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ცხრილი 2. რამდენად ხშირად განიხილავთ პოლიტიკურ საკითხებს, როდესაც შემდეგ ადამიანებთან ერთად ხართ? *(% ქალაქის მიხედვით; ცხრილში მოყვანილია ინფორმაცია მხოლოდ იმ რესპონდენტების შესახებ, ვინც განაცხადა, რომ „ყოველთვის“ და „ხშირად“ განიხილავს პოლიტიკურ საკითხებს)*

	ქუთაისი	თელავი
… დედათქვენთან ერთად?	8	18
… თქვენს ძმასთან ან დასთან ერთად, რომელთანაც ყველაზე ახლოს ხართ?	4	12
… თქვენს ბაბუასთან ან ბებიასთან ერთად, რომელთანაც ყველაზე ახლოს ხართ?	8	17
… თქვენს საუკეთესო მეგობართან ერთად?	13	15

- არც ქუთაისში და არც თელავში ახალგაზრდები **არ არიან რეგულარულად ჩართული პოლიტიკური აქტივობის არა-საარჩევნო სახეობებში**, როგორიცაა,

მაგალითად, დემონსტრაციებში მონაწილეობა ან პეტიციების შექმნა, ხელმოწერა ან გავრცელება. მსგავსი ფორმის სოციალური და პოლიტიკური აქტივობა წარსულში ამ ქალაქების მოსახლეობისთვის დამახასიათებელი არ იყო და, როგორც ჩანს, ეს გარემოება ჯერ კიდევ არ შეცვლილა.

რესპონდენტების 90%-ზე მეტმა განაცხადა, რომ ბოლო 12 თვის მანძილზე არასოდეს მიუღია მონაწილეობა საარ-ჩევნო კამპანიაში, როგორც მოხალისეს; არ მიუღია მონაწილეობა დემონსტრაციაში; არ გამოუცხადებია ბოიკოტი გარკვეული პროდუქტის შეძენაზე პოლიტიკუ-რი, ეთიკური ან ეკოლოგიური მოსაზრებებით; არ მოუწერია ხელი პეტიციაზე და არ დაუწერია პოლიტიკური გზავნილი ან გრაფიტი კედელზე.

რესპონდენტთა 5%-მა განაცხადა, რომ პოლიტიკური პარტიის ან მისი ახალგაზრდული ფრთის წევრია და მათი დაახლოებით 1% აცხადებს, რომ სტუდენტური გაერთიანების, ახალგაზრდული პარლამენტის ან ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციის წევრია.

- მიუხედავად ამისა, კრიზისისა და მორალური აღშფოთების დროს ქართველი ახალგაზრდების ქცევა იცვლება. როგორც ფოკუს ჯგუფების და თვისებრივი ინტერვიუების შედეგად შევიტყეთ, ახალგაზრდებმა - განსაკუთრებით, სტუდენტებმა - ორგანიზება გაუწიეს ან მონაწილება მიიღეს მასობრივ საპროტესტო გამოსვლებში „ციხის კადრების სკანდალთან“[2] დაკავშირებით, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე სულ რამდენიმე კვირით ადრე. ჩვენმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ **მონაწილეობა მიიღეს ამ საპროტესტო გამოსვლებში. თუმცა, სხვა შემთხვევებში პოლიტიკურად აქტიურები არ იყვნენ.** როგორც ქუთაისში მცხოვრებმა რესპონდენტმა აგვიხსნა თვისებრივი ინტერვიუს დროს, *„უბრალოდ ჩემი აზრის დაფიქსირება [მინდოდა], რომ სოლიდარობა გამოგვეცხადებინა პატიმრებისთვის <...> იმიტომ რომ მე გულგრილი ვერ დავრჩი ამ ფაქტის მიმართ“.* ამავე რესპონდენტმა ინტერვიუს მსვლელობისას რამდენჯერმე აღნიშნა, რომ, ჩვეულებრივ, ის არ არის პოლიტიკურად აქტიური და არჩევნებშიც კი არ იღებდა მონაწილეობას:

> *... მსგავს [პოლიტიკურ] რაღაცეებში არასოდეს არ ვყოფილვარ. <...> პირველად წავედი წელს არჩევნებზე. <...> [აქამდეც] მიწევდა, მაგრამ არ წავედი, უბრალოდ არ წავედი, <...> ვერ ვხედავდი, რომ ისინი რამეს გააკეთებდნენ. <...> აზრს ვერ ვხედავდი ხმის მიცემის, არანაირი სურვილი არ მქონდა და არ წავედი.*

[2] გამოქვეყნებული ვიდეო მასალა ასახავდა ციხის ზედამხედველებისა და სხვა თანამდებობის პირების მიერ პატიმრების გაუპატიურებისა და დამცირების ფაქტებს, რამაც მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია და იმდროინდელი ხელისუფლების, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, დამარცხების გადამწყვეტ ფაქტორად იქცა.

მისი აზრით, ახალგაზრდობა გააქტიურდა ბოლო პერიოდის პოლიტიკური მოვლენების გამო (იგულისხმება „ციხის სკანდალი“).

- აღსანიშნავია, რომ „ციხის სკანდალთან“ დაკავშირებული კრიზისი რესპონდენტების მიერ აღქმული იყო უფრო მორალურ და არა პოლიტიკურ ჭრილში, რამაც უდავოდ გაზარდა მათი ჩართულობა. ისინი, ვინც „ციხის სკანდალით“ გამოწვეულ საპროტესტო აქციებში მონაწილეობდნენ, **თავის ჩართულობას პოლიტიკური აქტივობის ფორმად არ განიხილავდნენ.** გარდა ამისა, რესპონდენტები გამოთქვამდნენ იმედს, რომ ამჯერად საპროტესტო აქციებს რეალური შედეგი ექნებოდა, რამდენადაც მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში გაერთიანებული და კარგად დაფინანსებული ოპოზიციური კოალიცია იღებდა მონაწილეობას. ამ ფაქტორებმა დიდწილად განაპირობა რესპონდენტთა შეგრძნება, რომ ამჯერად პროტესტის გამოხატვას „აზრი ჰქონდა“ - სხვა შემთხვევებში კი, როგორც რესპონდენტები აღნიშნავდნენ, მათ, როგორც წესი, არ ჰქონდათ მსგავსი გრძნობა.

- უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც ჩანს, ჩართულობა დამოკიდებულია რისკის დონეზე. როგორც ჩვენი მონაცემებიდან ჩანს, ახალგაზრდებისთვის უფრო ადვილი იყო, **შეერთებოდნენ სხვების მიერ ორგანიზებულ პროტესტს,** ვიდრე თავად ყოფილიყვნენ საპროტესტო აქციების ინიციატორები.

- თუმცა, რესპონდენტები თვლიან, რომ პოტენციურად ახალგაზრდობა გავლენიან ძალას წარმოადგენს. თვისებრივმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ **ამჟამად ისინი ვერ ხედავენ საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობებს** და იმის პერსპექტივას, რომ მათი აქტიურობა დადებით შედეგს გამოიღებს. ახალგაზრდობა არსებული პოლიტიკური სისტემიდან თავს გარიყულად გრძნობს და უძლურად მიიჩნევს იმისთვის, რომ რაიმე ცვლილება მოახდინოს. ქუთაისში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტის თანახმად:

> *მე ვერაფერს ვერ შევცვლი, იმნაირი დროა ახლა. მე კი არა, ჩემზე მეტი რომ იცის, [ის ადამიანიც] ვერ შეცვლის. <...> იმიტომ, რომ ვინც ნორმალურ აზრზეა ცოტა, ბევრნი არ ვართ, ჩვენ არავინ შეგვეკითხება.*

თელაველი რესპონდენტიც ეთანხმება მას: *„ჩემი აზრით, მარტო მე ვერაფერს ვერ შევცვლი“.* ეს აპათია პასიურობის და ინიციატივის ნაკლებობის წარმომშობ მიზეზსაც წარმოადგენს და მათი კვლავწარმოების მექანიზმსაც. მნიშვნელოვანია, რომ რესპონდენტები ვერ იხსენებენ წარსულიდან ისეთ შემთხვევებს, რომლებიც განსხვავებულ შეხედულებას დაუჭერდა მხარს.

- როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მონაცემები ცხადყოფს, რომ ბევრმა ახალგაზრდამ **არ იცის** ისეთი ცნებების მნიშვნელობა, როგორებიცაა „[პოლიტიკური] რადიკალიზმი“ და „პოპულიზმი“. მათ უჭირთ საუბარი პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ და ვერ ათავსებენ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს იდეოლოგიურ კონტინუუმზე, რომელიც მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკურ ძალებს აერთიანებს. ეს გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ - ქვეყანას და მის მთავარ პოლიტიკურ ძალებს ჩამოყალიბებული პოლიტიკური ტრადიციები ჯერ კიდევ არ გააჩნიათ.

- საქართველოს ქალაქებში გამოკითხული ახალგაზრდა რესპონდენტები თვლიან, რომ **ადამიანების უმეტესობას არ უნდა ვენდოთ**, ვინაიდან ადამიანები მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ (რესპონდენტთა 34% სავსებით ეთანხმება ამ მოსაზრებას). სოციალური უნდობლობა ღრმად არის გამჯდარი. ერთადერთ გამონაკლისს რელიგიური ინსტიტუტებისადმი დამოკიდებულება წარმოადგენს (ცხრილი 3). ასეთი უნდობლობა აგრეთვე დიდწილად ხსნის ახალგაზრდების მოტივაციის ნაკლებობას, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ცხრილი 3. რამდენად ენდობით ... *(% ქალაქის მიხედვით; ცხრილში მოყვანილია ინფორმაცია მხოლოდ იმ რესპონდენტების შესახებ, ვინც მაღალი ნდობა[3] დააფიქსირა).*

	ქუთაისი	თელავი
… საქართველოს პარლამენტს?	29	35
… სასამართლოებს?	27	33
… პოლიტიკურ პარტიებს?	15	15
… ეკლესიას?	92	92

- **ქართველ ახალგაზრდებს რადიკალიზმი არ ახასიათებთ.** რესპონდენტების დიდი უმრავლესობა ფიქრობს, რომ ნებისმიერი პრობლემისა და უთანხმოების გადაჭრა მშვიდობიანი გზითაა შესაძლებელი. მათი მცირე რაოდენობა გაამართლებდა ძალის გამოყენებას შემდეგი მიზნების მისაღწევად (ცხრილი 4):

ცხრილი 4. რესპონდენტთა წილი, ვინც თვლის, რომ ძალადობა გაუმართლებელია... *(% ქალაქის მიხედვით)*

	ქუთაისი	თელავი
… მთავრობის დასამხობად	78	82

[3] რესპონდენტები, ვინც 11-ბალიან სკალაზე შეარჩიეს კოდები 8, 9 ან 10 (რაც ნდობის ყველაზე მაღალ დონეს ასახავს).

… რათა არ მოხდეს სამუშაო ადგილების შემცირება	76	78
… ადამიანის უფლებების დასაცავად	67	75

- რესპონდენტები მხარს უჭერენ უმცირესობებისადმი **სამართლიან და თანასწორ დამოკიდებულებას**. თუმცა, სწორი იქნება ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტები არ არიან კარგად ინფორმირებულნი იმ შეზღუდვებისა და დისკრიმინაციის შესახებ, რის წინაშეც სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენლები ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეიძლება აღმოჩნდნენ. ამის მიზეზი კი ისაა, რომ რესპონდენტებს ან საერთოდ არ აქვთ ურთიერთობა ამ ჯგუფების წარმომადგენლებთან, ან ასეთი ურთიერთობა უაღრესად შეზღუდულია. მაგალითად, თელავში მცხოვრებმა ახალგაზრდა დევნილებმა დაადასტურეს, რომ მათი ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ შორის თანატოლებთან, ძალიან შეზღუდულია და, როგორც ჩანს, არცერთი მხარე არ ცდილობს ამ ვითარების შეცვლას. ადგილობრივმა ახალგაზრდებმაც აღნიშნეს, რომ მათი ურთიერთობა დევნილ თანატოლებთან შეზღუდულია.

- გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა **ნაციონალისტურადაა განწყობილი** იმ გაგებით, რომ უაღრესად დადებითი დამოკიდებულება აქვთ ,,ქართველობის" მიმართ და ძალიან მაღალ ნდობას უცხადებენ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. გამოკითხულთა 78% სრულად ენდობა მას. ქუთაისელი რესპონდენტების 84% და თელაველი რესპონდენტების 82% აცხადებს, რომ ისინი ,,ძალიან ამაყობენ" იმით, რომ საქართველოს მოქალაქეები არიან. ისინი თვლიან, რომ საქართველო სტუმართმოყვარე ქვეყანაა, რომელიც მომთმენია განსხვავებული ადამიანების მიმართ. თუმცა, ამავე დროს მიაჩნიათ, რომ უმცირესობის წარმომადგენლები მოკრძალებულად უნდა იქცეოდნენ და ეჭვქვეშ არ უნდა დააყენონ უმრავლესობის წამყვანი როლი. უფრო მეტიც, ზოგიერთი რესპონდენტი მხარს უჭერს უმცირესობების უფლებების - კერძოდ, რელიგიური უფლებების - გარკვეულ შეზღუდვას. უფრო კონკრეტულად, მათ მიაჩნიათ, რომ ადგილობრივმა მუსლიმებმა ღვთისმსახურება უკვე არსებულ ნაგებობებში უნდა აწარმოონ და არ უნდა ჰქონდეთ ახალი მეჩეთებისა და მინარეთების მშენებლობის უფლება.

- ახალგაზრდობას მიაჩნია, რომ **მათთვის საკუთარი ისტორიის ცოდნა მნიშვნელოვანია.** ქუთაისელი რესპონდენტების 75% თვლის, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თელავში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია - 81%. თუმცა, ფაქტობრივად არ ხდება იმ ისტორიული ნარატივების კრიტიკული შეფასება, რომლებსაც ახალგაზრდები სკოლებსა და მუზეუმებში ეცნობიან.

- აღსანიშნავია, რომ, როგორც წესი, **ახალგაზრდები მუზეუმებს სასკოლო ექსკურსიების დროს სტუმრობენ** (იხ. ცხრილი 5). ქართველ ახალგაზრდებს სჯერათ, რომ უძველესი ისტორია ობიექტურია და თავისუფალია პოლიტიკისგან,

ხოლო ახალი ისტორიის შემთხვევაში, ხელისუფლებაში მყოფ ძალებს დიდი ცდუნება აქვთ, მისი სუბიექტური ინტერპრეტაცია მოახდინონ.

ცხრილი 5. იმ ახალგაზრდების წილი, ვინც ჩართული იყო შემდეგ აქტივობებში ბოლო 12 თვის განმავლობაში (%):

იყო მუზეუმში, სადაც გამოფენილია ახლო წარსულთან დაკავშირებული ექსპონატები	79
მონაწილეობა მიიღო ისტორიასთან დაკავშირებულ დისკუსიაში სკოლაში ან უნივერსიტეტში	77
ესაუბრა ბაბუას ან ბებიას წარსულის შესახებ	64
ესაუბრა მშობლებს წარსულის შესახებ	44

- ახალგაზრდებთან ჩატარებული თვისებრივი ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების მონაცემების მიხედვით, ოჯახურმა გამოცდილებამ და მათმა საკუთარმა მოგონებებმა უახლოეს წარსულში მომხდარი მოვლენების შესახებ დიდი გავლენა მოახდინა მათ წარმოდგენებზე უახლესი ისტორიის შესახებ. რესპონდენტების დიდი უმრავლესობა თვლის, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია იცოდნენ, თუ „საიდან მოდიან“ და შეინარჩუნონ საკუთარი მეობა. მიუხედავად ამისა, ისინი **არ გამოხატავენ დიდ სურვილს, მეტი ცოდნა მიიღონ თავისი ქვეყნის წარსულის შესახებ სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით.**

MYPLACE კვლევის მიგნებები ევროპის ქვეყნებისთვის

ამ ნაწილში თავმოყრილია კვლევის მიგნებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია ევროპაში პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით - კერძოდ, მიგნებები, რომლებიც უკავშირდება 2010-2018 წლების **ევროკავშირის ახალგაზრდულ სტრატეგიას 2010-18**. ეს სტრატეგია ემყარება იმის გაცნობიერებას, რომ ევროპის მომავალი ახალგაზრდებზეა დამოკიდებული. ამასთან, ევროკავშირში მცხოვრები მრავალი ახალგაზრდის ცხოვრებისეული შესაძლებლობები შეზღუდულია. 2010-2018 წლების ევროკავშირის ახალგაზრდულ სტრატეგიას ორი ზოგადი მიზანი აქვს:

- **ინვესტირება ახალგაზრდებში,** განსაკუთრებით თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ახალგაზრდებისთვის განათლების სფეროში და დასაქმების ბაზარზე;
- **ახალგაზრდების გაძლიერება** მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის წახალისების მეშვეობით.

ახალგაზრდებში ინვესტირება ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი განათლების დონის ამაღლებას და უფრო მრავალფეროვანი უნარ-ჩვევების შეძენას, დასაქმების შანსების და სამეწარმეო შესაძლებლობების გაზრდას, რათა მოხდეს „ადამიანური კაპიტალის" განვითარება; ამასთან, აუცილებელია ყურადღების გამახვილება მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წლის შემდგომი ეკონომიკური კრიზისი განსაკუთრებით შეეხო ახალგაზრდებს - ამჟამად 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შორის 4-დან ერთი უმუშევარია (საბერძნეთში, სადაც ახალგაზრდების უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია, უმუშევარია ყოველი მეორე ახალგაზრდა), 2013 წლის აპრილში ევროკომისიამ მიიღო **გარანტიის პოლიტიკა ახალგაზრდებისთვის**, რომლის თანახმადაც ფორმალური საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრებიდან ან უმუშევრად დარჩენიდან 4 თვის ვადაში ყველა ახალგაზრდამ უნდა მიიღოს დასაქმების, განათლების გაგრძელების, პროფესიული პრაქტიკის ან ტრენინგის წინადადება.

ახალგაზრდების გაძლიერების თვალსაზრისით, სტრატეგია აღიარებს, რომ ახალგაზრდები კვლავ დაშორებულნი არიან სოციალურ ინსტიტუტებს და მოუწოდებს პოლიტიკოსებს და პოლიტიკის შემმუშავებლებს, ყურადღება გაამახვილონ ამ პრობლემაზე შემდეგი საშუალებებით:

- დიალოგი ახალგაზრდებთან და მათი ჩართულობის მხარდაჭერა ეროვნული და ევროკავშირის საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში;
- ახალგაზრდული ორგანიზაციების და ეროვნული და ადგილობრივი ახალგაზრდული საბჭოების მხარდაჭერა;
- იმ ჯგუფების ჩართულობის განსაკუთრებული მხარდაჭერა, რომელთა წარმომადგენლობაც განსაკუთრებით დაბალია;
- ინიციატივის „ისწავლე, თუ როგორ გახდე მონაწილე" მხარდაჭერა ადრეული ასაკიდან;
- დემოკრატიული ჩართულობის ონლაინ საშუალებების განვითარება, რათა მოხდეს კავშირის დამყარება ახალგაზრდების ნაკლებად ორგანიზებულ წარმომადგენლებთან.

დოკუმენტის ამ ნაწილში განსაკუთრებით გავუსვათ ხაზი **მონაცემებზე დამყარებული პოლიტიკის შემუშავების** მნიშვნელობას. MYPLACE-ის ფარგლებში 14-ივე ყვეყანაში შეგროვებული მონაცემები გამოსადეგი იქნება ევროკავშირისთვის და მისი პარტნიორი ქვეყნებისთვის, რათა თავიანთი პოლიტიკა განახორციელონ.

- ჩვენი მონაცემები ხშირად მხარს უჭერს ევროკავშირის სტრატეგიებს. თუმცა, ამავე დროს სვამს კითხვებს, თუ რამდენად ეფექტურად ხდება ამ სტრატეგიების განხორციელება;
- ჩვენი მონაცემების თანახმად, ახალგაზრდები გამოთქვამენ მნიშვნელოვან უკმაყოფილებას როგორც ახალგაზრდებში ინვესტირების, ასევე მათი ჩართულობის გაზრდის თვალსაზრისით.

მონაცემებიდან, რომელიც ახალგაზრდების მონაწილეობას ეხება, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი დასკვნა შეიძლება, გამოვიტანოთ. მიუხედავად იმისა, რომ შედეგები არ მიუთითებს პოლიტიკური ინსტიტუტების და დემოკრატიის მიმართ 'დაკარგულ ნდობაზე':

- ბევრად მეტი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ახალგაზრდებს მიეწოდოთ მეტი ინფორმაცია პოლიტიკის შესახებ, რაც გაზრდის მათ აქტივობას და უკეთ ჩართავს მათ პოლიტიკაში;
- მეტი დრო უნდა დაეთმოს იმის განსაზღვრას, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ პოლიტიკური აქტივობის ხელშეწყობა;
- სასურველია ხმის მიცემის ასაკის შემცირება, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების არჩევნებში ჩართვას და ზოგადად მათ აქტივობას.

ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ პოლიტიკური სისტემა ზოგადად მიმართულია უფრო ასაკოვან ხალხზე ვიდრე ახალგაზრდებზე. ასევე ფიქრობენ, რომ პოლიტიკა ფიქრობს უფრო მდიდარ ხალხზე, რაც ხელს უშლის მათ აქტიურად ჩაერთონ პოლიტიკურ მოვლენებში და უკარგავს არჩევნებში მონაწილეობის სურვილს. პოლიტიკოსების პასუხისმგებლობაა, დაანგრიონ ეს წარმოდგენები და შექმნან ისეთი გარემო, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ იმის შეგრძნება, რომ პოლიტიკის შეცვლა მათაც შეუძლიათ და ღირს მონაწილეობის მიღება. პოლიტიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ:

- კვლევის დროს, ახალგაზრდებმა განაცხადეს, რომ არ აინტერესებთ პოლიტიკა, რადგან მას ახორციელებენ ასაკში შესული, ოფიციალურად ჩაცმული, 'მოსაწყენი ადამიანები';
- პოლიტიკოსების მიერ საპროტესტო აქციების აკრძალვამ ან შეზღუდვამ წესრიგის დასაცავად, შეიძლება საძირკველი გამოაცალოს დემოკრატიის მიმართ ნდობას.
- ახალგაზრდების არააქტიურობა არ უნდა აღვიქვათ, როგორც პრობლემა, არამედ როგორც მათი სურვილი უფრო მნიშვნელოვანი და აზრიანი გახდეს დემოკრატია, რაც კარგია დემოკრატიის განვითარებისათვის.

კვლევის შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ მუზეუმებმა და ისტორიულმა ადგილებმა წარსული ემოციური და საინტერესო გზით უნდა წარმოადგინონ და არ უნდა დამალონ ერის მტკივნეული და რთული წარსული. ჩვენი შემოთავაზება იქნება, რომ გატარდეს ისეთი პოლიტიკა, რაც წაახალისებს მუზეუმებს, წარსულის უფრო ობიექტური სურათი წარმოადგინონ და აღარ მოხდეს ისტორიული მოვლენების მხოლოდ ცალმხრივი წარმოდგენა.

ასევე, ახალგაზრდების პასიურობის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ პოლიტიკოსები ვერ წყვეტენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც მთელ საზოგადოებას და განსაკუთრებით ახალგაზრდებს აწუხებთ. ასეთებია:

- სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა, რომელიც იზრდება და უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს;
- გადაუჭრელი საკითხები და მწვავე პრობლემები კაცობრიობისთვის, მაგ., კლიმატის ცვლილება;
- ახალგაზრდების დასაქმების საკითხი და მათი გამორიცხვა შრომის ბაზრიდან, რაც მომავალში მათ ხელს უშლის, გააკეთონ კარიერა და წინ წავიდნენ.

იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ასევე ზოგადად ევროკავშირში ნეოლიბერალიზმი დომინირებს, ბევრ ახალგაზრდას სულ უფრო და უფრო უძლიერდება შეგრძნება, რომ ისინი მხოლოდ საკუთარი თავის ანაბარა არიან „დეპრესიულ აწმყოში“ და სულ უფრო და უფრო მცირდება მომავლის იმედი. იმისათვის, რომ შენარჩუნდეს ახალგაზრდების რწმენა დემოკრატიის მიმართ, კანონმდებლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ეკონომიკურ კრიზისთან და გაჭირვებასთან დაკავშირებული საკითხები, განსაკუთრებით სამხრეთ ევროპის ქვეყნებში.

შეჯამებისთვის კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ MYPLACE კვლევის მიგნებები მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით და ეხება **ახალგაზრდებში მეტ ინვესტირებას** ევროკავშირის ახალგაზრდულ სტრატეგიის 2010-18 ფარგლებში. ეს სტრატეგია ამჯერად წინ აყენებს ნეოლიბერალურ სტრატეგიას და ნაკლებად ეხება ახალგაზრდების კოლექტიურ/საერთო სოციალურ უფლებებს. **ახალგაზრდული გარანტია** არის მცდელობა, რომ ახალგაზრდების საჭიროებები და მოთხოვნილებები იყოს მთავარი ფოკუსი პოლიტიკის შემუშავების დროს. თუმცა, ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ამის განსახორციელებლად არასაკმარისი რესურსია გამოყოფილი. ჩვენი კვლევა ხელს უწყობს/ემხრობა ბევრ ახალგაზრდულ ორგანიზაციას და ასოციაციას, რათა ახალგაზრდებს მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ და მივცეთ შესაძლებლობა, ჰქონდეთ კავშირი პოლიტიკოსებთან და ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მონაცემები მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ევროკავშირი მეტად უნდა იყოს ფოკუსირებული ახალგაზრდულ საკითხებზე, ისინი ასევე იწვევს კითხვებს, თუ რამდენად შესაძლებელია ამის გაკეთება არსებული სტრატეგიებისა და მათი განხორციელების „რბილი“ ფორმების მეშვეობით, კერძოდ - ე.წ. კოორდინაციის ღია მეთოდის (Open Method of Coordination) ფარგლებში. ცხადია, რომ ახალგაზრდებს *აქვთ* პრობლემები, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავად *არიან* პრობლემა. ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგიის თანახმად, „ახალგაზრდები წარმოადგენენ საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანეს რესურსს და არა მძიმე პასუხისმგებლობას“. შესაბამისად, ჩვენს მიერ შეგროვებული მონაცემები ხაზს უსვამს იმის აუცილებლობას, რომ პოლიტიკოსები მეტად ეცადონ ახალგაზრდებთან კავშირის დამყარებას და რეაგირება

მოახდინონ იმ მოთხოვნებზე, რაც MYPLACE-ს კვლევის მონაწილეებმა გაგვიზიარეს. ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკოსებმა უკეთეს შედეგებს მიაღწიონ როგორც დემოკრატიული ჩართულობის პროცედურულ საკითხებთან, ასევე შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა სოციალური სამართლიანობა, უფლებები, სიღარიბე და თანასწორობა - როგორც ზოგადად, ასევე ახალგაზრდებთან მიმართებაში.

სიღრმისეულმა და, განსაკუთრებით, ეთნოგრაფიულმა კვლევამ მდიდარი ინფორმაცია მოგვცა იმის შესახებ, თუ როგორია ახალგაზრდების წარმოდგენები უკეთესი საზოგადოების შესახებ მაშინაც კი, როდესაც ისინი არ შეხებიან პოლიტიკური იდეოლოგიის საკითხებს და არ მოუწოდებიათ რადიკალური ცვლილებებისაკენ. მათი ეს მოსაზრებები, რომლებიც, რა თქმა უნდა, არ არის „რეპრეზენტატული“, ჩვენი აზრით, საუკეთესო დასკვნა იქნება ამ დოკუმენტისთვის, და იმედი გვაქვს, პოლიტიკოსები ყურადღებით გაეცნობიან მათ.

MYPLACE-ის კვლევის ფარგლებში ბევრი რესპონდენტი თვლის, რომ სკოლები მათ შესაბამის ცოდნას არ აძლევს. მაგალითად:

> *[სკოლებში] მეტი დრო უნდა ეთმობოდეს სოციალურ მეცნიერებებს, და ისტორიასაც, ალბათ.*
>
> *ჩვენ განათლება გვჭირდება. ჩვენი იარაღი განათლებაა, სხვა არაფერი.*

ამასთან, კვლევის თანახმად, ახალგაზრდებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჩართულობის შესაძლებლობები, რასაც მათ სკოლების ახალგაზრდული საბჭოები ან სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოები სთავაზობს. ამიტომ მეტი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა მიიღონ ცოდნა, მათ შორის - პოლიტიკური პროცესების ბუნების შესახებ და არაფორმალური სასწავლო პროცესების მეშვეობით შეიძინონ ჩართულობის უნარ-ჩვევები. ასეთ შემთხვევაში მათი ჩართულობა უფრო ეფექტური იქნება. როგორც ზემოთ უკვე არვნიშნეთ, ახალგაზრდების ჩართულობის დონის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილი იქნება საარჩევნო ასაკის შემცირება.

საინტერესოა ასევე ახალგაზრდების სხვა მოსაზრებები, თუ როგორი წარმოუდგენიათ უკეთესი საზოგადოება:

> *საზოგადოება, სადაც ყველას შეუძლია თავის შენახვა, და სადაც არ იქნება ის, რაც ახლა გვაქვს.*
>
> *უმუშევრობის სრული აღმოფხვრა, რომ ყველას ჰქონდეს სამსახური და ნაკლები სამუშაო საათები.*

საზოგადოება, სადაც ხალხს მეტი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, და პოლიტიკოსები, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ ხალხთან და არა ერთმანეთთან, და მხოლოდ თავს აჩვენებენ, რომ აქვთ რაიმე ურთიერთობა ხალხთან.

სახელმწიფომ არ უნდა წაართვას ახალგაზრდებს მათი ოცნებები. ახალგაზრდებს უნდა მივეხმაროთ, რომ ქნან უფრო მეტი და განახორციელოთ თავიანთი ოცნებების ნახევარი მაინც

მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადამიანი მეტად ზრუნავდეს სხვებზე, უფრო ტოლერანტული იყოს.

უკეთესი საზოგადოება? ეს ისეთი საზოგადოება იქნება, სადაც ხალხს არა აქვს მოთხოვნილება, რომ განსაჯონ ერთმანეთი, ნაკლებად მიკერძოებულია, ნაკლებად რასისტული, იმიტომ რომ ჯერ კიდევ არის რასიზმი ჩვენს ირგვლივ.

სადაც ადამიანები ენდობიან ერთმანეთს და სადაც პატიოსნებაა, იქნება ეს ბიზნესში, პირად ურთიერთობებში, ასეთ რამეებში.

ჩემთვის - რომ არ იყოს ჩხუბი, ეს კი არ არის რეალისტური, მარამ ჩხუბი არ იქნებოდა.

ცხოვრებას უნდა განსაზღვრავდეს არა რაღაც მატერიალური ნივთები, არამედ ადამიანური ღირებულებები. [...] ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება. მაგრამ მართლაც, ნაკლებ რომ ვიყოთ დამოკიდებულები ეკონომიკაზე და ბაზარზე, ყველაფერი უკეთ იქნებოდა.

ეს დოკუმენტი ემყარება კვლევის ანგარიშებს, რომელთა სრული ვერსიებიც შეგიძლიათ იხილოთ აქ: http://www.fp7-myplace.eu/deliverables.php

კვლევის შედეგების მნიშვნელობა პოლიტიკური გადაწყვეტილებებისთვის

წინა თავში წარმოდგენილი იყო კვლევის შედეგები, რომელიც 14 ქვეყანაში ჩატარებულ კვლევას ეფუძნებოდა. ამ თავში ვისაუბრებთ მხოლოდ საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგებზე და მათ შესაძლო გავლენაზე იმ პოლიტიკაზე, რომელიც ახალგაზრდების კეთილდღეობის კუთხი ტარდება.

საქართველოში MYPLACE კვლევის ერთ-ერთი მთავარ შედეგი უკავშირდება ახალგაზრდების გარკვეული ნაწილის სოციალურ და პოლიტიკურ პასიურობას.

შედეგები აჩვენებს, რომ ახალგაზრდობის სოციალური და პოლიტიკური პასიურობა უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ინფორმაციისა და აქტიურობის შესაძლებლობის ნაკლებობასთან. ის ასევე კავშირშია მთავარი პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი უნდობლობასთან. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ახალგაზრდობა ცინიკურადაა განწყობილი და ეჭვის თვალით უყურებს აქტიურობას და ფიქრობს, რომ, ძირითადად, ადამიანების აქტიურობა აიხსნება გარკვეული ფარული მოტივებით, და არა ალტრუიზმით ან საზოგადოებრივ სიკეთეზე ზრუნვით.

საქართველოში ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგ პოლიტიკური ქმედებები:

- **მოხალისეობისა და სამოქალაქო აქტივობის მხარდამჭერი სასწავლო კურსების დანერგვა** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების კურიკულუმებში. მაღალი ხარისხის სამოქალაქო განათლება გაზრდის იმ ინდივიდების რიცხვს, რომლებისთვისაც სამოქალაქო აქტივობის ცნება უცხო არ იქნება და მისი პოტენციური შედეგები გაცნობიერებული ექნებათ. საგულისხმოა, რომ თავად ახალგაზრდებიც აღიარებენ განათლების მნიშვნელოვან როლს სოციალური და პოლიტიკური ჩართულობის გაზრდის თვალსაზრისით: MYPLACE პროექტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების რესპონდენტებს მაგალითად მოჰყავთ დასავლეთის ქვეყნების სკოლები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშა მოხალისეობისა და სამოქალაქო კულტურის განვითარებაში.

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების დეპოლიტიზირება.** ქართული საზოგადოება იყო და რჩება ძალიან პოლიტიზირებულ საზოგადოებად. MYPLACE-ის კვლევის მიხედვით, ახალგაზრდული აქტივობის ყველაზე გავრცელებული ფორმაც - არჩევნებში ხმის მიცემა - პოლიტიკასთანაა დაკავშირებული. უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური პარტიები უბიძგებენ ზოგიერთ ახალგაზრდულ ორგანიზაციას - მაგალითად, უნივერსიტეტების სტუდენტურ თვითმმართველობებს - პოლიტიკური საქმიანობისკენ. როგორც კვლევის შედეგები მოწმობს, პოლიტიზირება ხელს უშლის აქტივობას: ბევრ ახალგაზრდას არ სურს, დაუკავშირდეს „ბინძურ საქმეს“, როგორც ისინი პოლიტიკას უწოდებენ, ამიტომ ურჩევნია, თავი შეიკავოს მსგავს საქმიანობებში მონაწილეობისგან. შესაბამისად, არაპოლიტიკური ახალგაზრდული ორგანიზაციების სრული გამიჯვნა პოლიტიკური ინტერესებისგან გააძლიერებს ახალგაზრდების აქტივობას საქართველოში, ხელს შეუწყობს რა არაპოლიტიზირებული ახალგაზრდების ჩართვას საზოგადოებრივი საკითხების მოგვარების პროცესში.

- ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ **ერთობლივი ფორუმის დაარსება** აქტივობის დადებითი მაგალითების გასაჯაროების და ხელშეწყობის მიზნით. ხშირად ასეთი მაგალითები არსებობს, მაგრამ სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის შეუმჩნეველი რჩება. მაგალითად, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი საქართველოში წლების განმავლობაში ახორციელებს პროგრამას „ახალგაზრდული იდეა“. ამ პროგრამის ძირითადი მიზანია, მხარში

დაუდგეს ახალგაზრდებს, რათა მათ პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ თემებში მიმდინარე პროცესებზე. ამ მიზნის მიღწევის საშუალებებია მცირე გრანტების გაცემა და ტრენინგების ჩატარება თემების (თვით-)ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის გამოცდილება მოწმობს, რომ ასეთი მექანიზმი ეფექტურია; მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფომ ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ასეთი აქტივობების გავრცელებას სხვა თემებშიც, განსაკუთრებით კი ისეთ რეგიონებში, სადაც შედარებით მაღალია ეკონომიკური დეპრივაცია. სახელმწიფო ინსტიტუტები უნდა ცდილობდნენ, რომ მსგავსი პროგრამები ხელმისაწვდომი გახდეს ახალგაზრდების ფართო წრეებისთვის.

კვლევის სრული ანგარიშების გასაცნობად ეწვიეთ შემდეგ ვებგვერდს: http://www.fp7-myplace.eu/deliverables.php